

მალხაზ ბაგიაშვილი

შესავალი კონსტიტუციურ სამართალში
მეთოდოლოგია

თბილისი

2020

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია კონსტიტუციური სამართლის აუცილებელი ცნებები: სახელმწიფო მოწყობის ფორმები, კონსტიტუცია, სუვერენიტეტი. სტუდენტს ვთავაზობთ სხვადასხვა სავარჯიშოს, რომელიც იურიდიული თხზულების, ტექსტის კომენტირებისა და კაზუსის კარგი შესრულებისთვის აუცილებელი მეთოდოლოგიის შეძენის საშუალებას იძლევა. თითოეული შემოთავაზებული სავარჯიშო განსაზღვრული მოთხოვნების შედეგია და მისი შესრულება მოითხოვს მეთოდის ზუსტ მიყოლას. ამ მეთოდის წარმოდგენის შემდეგ, გთავაზობთ მის განხორციელებას სავარჯიშოების მეშვეობით.

ავტორი - **მალხაზ ბეგიაშვილი**

რედაქტორი - **მარი მარინაშვილი**

დიზაინერი - **მარი ვერულაშვილი**

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ. 77

ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9666-4-4

სარჩევნი

შესავალი **5**

მეთოდოლოგია **7**

თეორიული საგარჯიშო: იურიდიული თხზულება **7**

პრაქტიკული საგარჯიშოები: დოკუმენტის კომენტარი და კაზუსი **13**

1. დოკუმენტის კომენტარი **13**

2. კაზუსი **17**

აუცილებელი ცნებები **20**

თავი 1 **21**

სახელმწიფო მოწყობის ფორმები **21**

ძირითადი ცნებები **21**

ცოდნის ტესტი **22**

იურიდიული თხზულების მაგალითი **24**

ფედერაციული სახელმწიფო და რეგიონალური სახელმწიფო: ორი განსხვავებული სისტემა? **24**

თავი 2 **29**

კონსტიტუცია **29**

ძირითადი ცნებები **29**

ცოდნის ტესტი **30**

იურიდიული თხზულების მაგალითი **32**

კონსტიტუციის ცნება **32**

თავი 3 **37**

სუვერენიტეტი **37**

ძირითადი ცნებები **37**

ცოდნის ტესტი **39**

იურიდიული თხზულების მაგალითი **41**

სუვერენიტეტი საქართველოს 1921 და 1995 წლის კონსტიტუციაში: საფუძვლები და შედეგები **41**

შესავალი

კონსტიტუციური სამართალი პოლისემიური ცნებაა. მატერიალურად, ეს გამონათქვამი აღნიშნავს სახელმწიფო მონყობასთან და საჯარო თავისუფლებებთან დაკავშირებული ნორმების ერთობლიობას. ფორმალურად, კონსტიტუციური სამართალი წარმოადგენს უზენაესი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ქვემდგომი სამართლებრივი ნორმების ნამდვილობას. ეს გამონათქვამი ასევე განსაზღვრავს სამართლის დარგს, რომელიც სწავლობს ამ ნორმებს. სხვა იურიდიული დისციპლინისგან განსხვავებით, ის შედარებით ახალი წარმოქმნილია და მისი საგანი დაექვემდებარა ღრმა განვითარებას.

თავდაპირველად, კონსტიტუციური სამართლის საგანი მანც განსაკუთრებულად ვიწრო იყო და შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური ინსტიტუტების განხილვით. საგნის შესწავლის სფეროს სივინროვესა და ფორმალიზმს, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური ფენომენების მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით შესწავლით, ზოგიერთი კონსტიტუციონალისტი, დიუვერჟეს ხელმძღვანელობით, მიჰყავდა პოლიტიკურ მეცნიერებამდე, რომელიც ცდილობს შეისწავლოს ის რაც არის, და არა ის რაც უნდა იყოს, როგორც მოვლენა სამართალი. სამართლებრივი სახელმწიფოს დანერგვის შესაბამისად, კონსტიტუციური სამართალი სიღრმისეულად განახლდა კონსტიტუციური იუსტიციის ეტაპობრივი გავრცელების ზეგავლენით. საკონსტიტუციო სასამართლოს შემოქმედებას მიყვავართ კონსტიტუციური სამართლის ნამდვილ რევოლუციამდე, რამდენადაც მისი საგანი იზრდება კომპლექსური სასამართლო პრაქტიკის უწყვეტ განვითარებაში შესწავლით. ადამიანის უფლებების გავრცელებასთან ერთად, რომლებიც კონსტიტუციურად ფართოდაა დაცული, კონსტიტუციური სამართალი ასევე დაინტერესდა ინდივიდით.

აქედან მოყოლებული, კონსტიტუციური სამართლის შესწავლა წარმოადგენს შესავალ კურსს ყველა იურიდიული დისციპლინის სწავლებაში. კონსტიტუციის ნორმატიულ განმარტებას მიყვავართ იქამდე, რომ უმაღლეს ნორმაში ვეძებოთ საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის წესების ნამდვილობა. საჯარო სამართლის სხვადასხვა სფეროს გავება, როგორც, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის ან საჯარო ფინანსების, შეუძლებელია კონსტიტუციური სამართლის წინასწარი ცოდნის გარეშე. საჯარო სამართლის შემდგენელი დისციპლინები ფართოდ ეყრდნობიან კონსტიტუციურ ნორმებს. ანალოგიური მდგომარეობაა საერთო სასამართლოების პრაქტიკაში, რომელიც ხშირად იყენებს კონსტიტუციას.

უმაღლეს განათლებაში, კონსტიტუციური სამართალი სარგებლობს საერთო აღიარებით. მისი სწავლება სავალდებულოა პირველი წლიდან სამართლისა და პოლიტიკური სწავლების ფაკულტეტებზე. უმაღლესი განათლე-

ბის შესავალი, კონსტიტუციური სამართალი არის ფუნდამენტური საგანი და სხვადასხვა ტიპის გამოცდებისთვის წარმატების საწინდარი. სამართლისა და პოლიტიკური სწავლების ფაკულტეტებზე, მისი სწავლება წარმოადგენს სალექციო კურსისა და ყოველკვირეული სემინარული მეცადინეობების საგანს. სტუდენტს მოეთხოვება, რომ მას შეეძლოს ამ სფეროში ნამდვილი ანალიზის განვითარება. ასევე, კონსტიტუციური სამართლის შესწავლა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მისი სწავლა და მოითხოვს რეალურ გააზრებას, რომელიც ვერ განხორციელდებოდა მხოლოდ ყოველკვირეული სავარჯიშოების შესრულებით. მაშასადამე, კონსტიტუციურ სამართალში სტუდენტი არ ფასდება მხოლოდ მისი ცოდნის ბაზაზე, არამედ - უმთავრესად მისი უნარით, განავითაროს დასაბუთებული და ლოგიკური არგუმენტაცია.

კონსტიტუციური სამართლის სწავლება მიმდინარეობს, პირველ რიგში, ლექციის მეშვეობით ელემენტარული ცოდნის შეძენით. შემდგომ, ეს ცოდნა უნდა გაღრმავდეს კონსტიტუციური სამართლის სულ მცირე ერთი სახელმძღვანელოს წაკითხვით. სხვადასხვა სახელმძღვანელოს წაკითხვა საშუალებას იძლევა მოხდეს მათი ავტორების თვალსაზრისის შედარება და თემა განხილულ იქნეს მეტად გვერდიდან. კონსტიტუციური სამართლის სწავლება მარტივდება კონსტიტუციური იუსტიციის მეშვეობით. ბოლოს, ამ დისციპლინისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ჟურნალი, მრავალ საკითხზე გადმოსცემს შესაბამის მეცნიერულ ანალიზს და იძლევა უკვე შეძენილი ზოგადი ცოდნის გაღრმავების საშუალებას.

თუმცა, გამოცდაზე წარმატების გარანტიისთვის მხოლოდ წაკითხვა არასაკმარისია და აუცილებელია იურიდიულ თხზულებაში ვარჯიში. ამ ნაშრომში, სტუდენტს ვთავაზობთ სხვადასხვა სავარჯიშოს, რომელიც იურიდიული თხზულების, ტექსტის კომენტირებისა და კაზუსის კარგი შესრულებისთვის აუცილებელი მეთოდოლოგიის შექმნის საშუალებას იძლევა. თითოეული შემოთავაზებული სავარჯიშო განსაზღვრული მოთხოვნების შედეგია და მისი შესრულება მოითხოვს მეთოდის ზუსტ მიყოლას. ამ მეთოდის წარმოდგენის შემდეგ, ვთავაზობთ მის განხორციელებას სავარჯიშოების მეშვეობით.

ვათოდოლოგია

თეორიული საგარჯიშო: იურიდიული თხზულება

იურიდიული თხზულების გოგადი წარდგენა

იურიდიული თხზულება იურიდიულ გამოცდებს შორის არის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდა. ის წარმოადგენს ზუსტ საგარჯიშოს, სადაც წინა პლანზე უნდა იყოს ნამოწეული ყველა ის თვისება, რასაც მოითხოვს სამართლის სწავლება. მიღებული იდეების საწინააღმდეგოდ, შეფასება არ არის დამოკიდებული გამსწორებლის თავისუფალ შეფასებაზე. შეფასების ბევრი კრიტერიუმი წინასწარ არის განსაზღვრული, რომლებიც ქმნიან სტუდენტის შეფასების საფუძველს.

იურიდიული თხზულების განმარტება

იურიდიული თხზულება არის იურიდიული სწავლების ყველა ეტაპზე მოთხოვნილი დავალება. ის არის დავალება, რომელმაც გამოცდელს უნდა მისცეს საშუალება დარწმუნდნენ, რომ სტუდენტი ფლობს მოსალოდნელ ცოდნასა და რეფლექსებს. რამდენადაც იურიდიული სწავლება არსებითად ისწრაფვის არგუმენტაციის მეთოდების შესწავლისკენ, იურიდიულ თხზულებას შეუძლია მიიღოს მხოლოდ მტკიცების ფორმა. სხვადასხვა ფორმაში გამოხატული თემიდან დაწყებული, იურიდიული თხზულება უნდა იძლეოდეს ზოგადი პრობლემეტიკის ჩამოყალიბების საშუალებას, რომელსაც სტუდენტები უპასუხებენ ლოგიკური მსჯელობით, რომელიც ჩამოყალიბებულია ორ ან სამ ნაწილად. უსწრებს რა წინ შესავალს, პრობლემეტიკის ჩამოყალიბების ეტაპი არ მოიცავს იმპერატიულად დასკვნას, გარდა გამსწორებლის ცხადი მოთხოვნისა. მაშასადამე, იურიდიული თხზულება არ არის ლექციის საკითხი, არამედ არის ნამდვილი ანალიზი, რომელიც ჩამოყალიბებულია შემოთავაზებულ თემაზე სტუდენტის ცოდნის საფუძველზე.

იურიდიული თხზულების საგანი

იურიდიული თხზულების საგანი არის მხოლოდ შემონმება იურისტის არსებითი მახასიათებლების:

- ცოდნის განზოგადების უნარის;
- შესაბამისი ცოდნის გამოყენების;
- მსჯელობის სიზუსტის;

- რედაქციული ხარისხის.

თხზულება არ არის ლექციის საკითხი. თუმცა, არანაირი ანალიზი არ იქნება შესაძლებელი თემის ღრმა ცოდნის გარეშე. ამ მხრივ, იურიდიული თხზულება, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს სტუდენტების ცოდნის შემოწმების საშუალებას, ადგენს რა სტუდენტებმა გაიგეს თუ არა ცოდნა და იციან თუ არა მისი გამოყენება. თუმცა, სტუდენტს, რომელიც იფარგლება ლექციის ზეპირად სწავლით, ვერასოდეს ექნება პრეტენზია საშუალო შეფასებაზე ამ ტიპის საგარჯიშოში, თუ ის კმაყოფილდება ლექციის ზეპირი გადმოცემით. ანალოგიურად, ნაშრომის გაფორმების სამუშაოში პუნქტუალური და მცოდნე სტუდენტი ვერ შეძლებს წარმატებით დაასრულოს დასაბუთება ლექციის საკმარისი ცოდნის გარეშე.

იურიდიული თხზულების შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად ეფუძნება ზემოთ მოხსენიებულ მახასიათებლებს.

- *ცოდნის განზოგადება*

შემოთავაზებული თემები შეიძლება იყოს გადამკვეთი ან შეეხებოდეს მხოლოდ ერთ ზუსტ თემას. მაშასადამე, სტუდენტები იძულებულნი არიან გააკეთონ პირველადი შერჩევა. ამ ტიპის საგარჯიშოს შესრულებისას, სტუდენტებს უნდა შეეძლოთ, ერთის მხრივ, დაადგინონ თემის ფარგლები და, მეორეს მხრივ, გაამართლონ თავიანთი არჩევანი. ფაქტობრივად, ცოდნა წარმოადგენს ნედლ მასალას, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება თემის ზოგადი პრობლემატიკის მოძებნა და შემდგომ ფორმულირება.

- *ცოდნის გამოყენება*

სტუდენტების მიერ თემის ცოდნის შეძენა უნდა იყოს შეფარდებითი. ცხადია, ცოდნის გარეშე სტუდენტები ვერ განახორციელებენ ამ შერჩევას. სამაგიეროდ, მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი, რათა განახორციელონ მოთხოვნილი სინთეზი. მაშასადამე, გამსწორებელი არ ელოდება სტუდენტებისგან, რომ მათ ლექცია ზეპირად იციან. თუმცა, ლექციის ცოდნა აუცილებელი პირობაა ამ ტიპის დავალებაში წარმატების მისაღწევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეფასებისას, სწორედ სტუდენტის მიერ ცოდნის გამოყენება იქნება გათვალისწინებული შემფასებლის მიერ.

- *ზუსტი მსჯელობა*

ზუსტი მსჯელობა არის ის, რომლის არგუმენტაციაც არის ლოგიკური. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული თხზულება არ არის ლექციის საკითხი, არამედ არის ანალიზის საგარჯიშო, ის სტუდენტებს არ აძლევს უფლებას გავიდნენ

იურიდიული ლოგიკის მიერ დადგენილი ჩარჩოებიდან. რასაკვირველია სამართალი არ განიხილება როგორც ზუსტი მეცნიერება, თუმცა ის ნაკლებად არ ეყრდნობა წესებს, რომლებიც ხშირად კარგად არის ჩამოყალიბებული დაწერილი და დაუწერელი ნორმების, სასამართლო გადაწყვეტილებების ან მეტ-ნაკლებად დამტკიცებული დოქტრინული პოზიციების საფუძველზე. სტუდენტებს არ თხოვენ „გადააკეთონ“ ან „თავიდან გამოიგონონ“ სამართალი, არც დაადგინონ ნორმები, რომლებიც მათ სასურველად ეჩვენებათ.

- *არგუმენტაციის უნარი*

იურიდიული თხზულებისათვის საჭირო ანალიზის განხორციელების თავისუფლების ფარგლები სტუდენტმა უნდა გამოიყენოს, რათა დაარწმუნოს გამსწორებელი თემის დასაბუთებულობაში, რომელსაც სტუდენტი ასრულებს გეგმის მიხედვით. ფაქტობრივად, იურიდიული თხზულება რჩება მტკიცება. ამ მხრივ, ის ქმნის ცდუნების ნამდვილ საგარჯიშოს. თუ არგუმენტები იდენტურია, თხზულებაში მათი გამოყენება და მათი განლაგება იცვლება გეგმის შესაბამისად.

- *რელაქციული ხარისხი*

გადმოცემის ხარისხი არის შეფასების კრიტერიუმი. თხზულება არის ლიტერატურული სავარჯიშო, მაგრამ იურიდიული სტილი მოითხოვს სიცხადესა და ლაკონურობას. გამსწორებელი უფრო მგრძობიარე იქნება კარგად შედგენილ, მაგრამ გადმოკოპირებულ წერით სამუშაოზე, ვიდრე არაზუსტი ლექსიკონის გამოყენებით შესრულებულ დავალებაზე. ორთოგრაფიული, გრამატიკული, ბრუნვითი ან სინტაქსური შეცდომები არ იქნება შესაბამისი იურიდიული თხზულებისათვის, მაგრამ თავიდან უნდა ავირიდოთ. სამაგიეროდ, ლოგიკა და სიზუსტე მოითხოვს ადეკვატური იურიდიული ლექსიკონის ფლობას. სამართალში თითოეულ სიტყვა ფლობს საკუთარ მნიშვნელობას. ერთის ნაცვლად მეორის გამოყენებას, მიყვარათ სხვა რაღაცის თქმამდე და სტუდენტი აუცილებლად გაჰყავს იმ ნორმების მიერ დადგენილი ჩარჩოს გარეთ, რომელთაც ის იყენებს თავის მსჯელობაში.

- *შინაარსისა და ფორმის წესები*

იურიდიული თხზულება ეყრდნობა შინაარსისა და ფორმის სპეციფიკურ წესებს, რომელთა დაცვაც განსაზღვრავს შეფასებას.

იურიდიული თხზულების მომზადება

სტუდენტმა თუ იცის თემა, მას შეეძლება უკეთესად მოამზადოს თავისი თხზულება შემდეგი ეტაპების დაცვით.

- *თემის ტერმინების განმარტება*

მარტივად, საუბარია ყველა ტერმინის განმარტების მოძებნაზე, რომლებსაც მოიცავს თემა, ასევე - მათი კავშირისა ან ამ სიტყვების შეკრებიდან გამომდინარე გამოთქმის განმარტებაზე. ფაქტობრივად, თითოეული სიტყვა თუ თითოეული გამოთქმა შეესაბამება სამართლის ერთ ან რამდენიმე ასპექტს. თემის ტერმინების განმარტება იძლევა გარანტიას, თავიდან ავიცილოთ აღმოვჩნდეთ თემის მიღმა. განმარტების ძალისხმევა საშუალებას იძლევა დავადგინოთ სავარჯიშოს დასაწყისში დაყენებული თემის ფარგლები და დაუყოვნებლივ მოვახდინოთ იმის იდენტიფიცირება, რასაც არ შეეხება დასმული საკითხი.

- *თემის ანალიზი*

როცა უკვე დადგენილია თემის ფარგლები, სტუდენტმა უნდა შეძლოს წინა ეტაპზე გამოკვეთილ საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის გამოყენება. ეს ოპერაცია განაპირობებს თხზულების სტრუქტურას, აძლევს რა სტუდენტებს საშუალებას შეიმუშავონ თავიანთი პრობლემატიკა. ვინაიდან ეს ეტაპი ფუნდამენტურია, სტუდენტები დაუთმობენ მას საჭირო დროს. „თეთრი გვერდის“ სინდრომი ყველაზე ხშირად აიხსნება ცოდნის უკმარისობით. თუ სტუდენტმა იცის მთლიანობაში თემის ყველაფერი, მას ყოველთვის შეეძლება დაიკავოს პოზიცია და დაიცვას ის თავისი გეგმის მეშვეობით. სტუდენტებისთვის განსაზღვრული მიზანი არის იზოგონ თემის ინტერესი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზნები, რისთვისაც თემა იქნა თავისებურად შერჩეული და ჩამოყალიბებული საკუთარი ავტორობით.

- *პრობლემატიკის შემუშავება*

თემის ანალიზის გარეშე, შეუძლებელია მისი ფორმულირება. პრობლემის წამოჭრა არის კარგი კითხვების დასმის ხელოვნება.

საუბარია ძირითადი მიზეზის წამოწევაზე, რისთვისაც თემა იყო წამოჭრილი. თემის ფორმულირებიდან გამომდინარე, ის ეთვისება პრობლემას, რომელიც სტუდენტმა უნდა გადაჭრას. პრობლემატიკა არის გასაღები, რომელიც დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა.

მაშასადამე, იურიდიული თხზულება იძენს ორმაგ წახნაგს. პირველ რიგში, თემის ინტერესის ფარგლების დადგენისა და გამოკვეთის შემდეგ, სტუდენტები აყალიბებენ პრობლემატიკას და იძლევიან პასუხებს არგუმენტირებული მსჯელობის ფორმით. გეგმა ქმნის არქიტექტურას, რომელშიც სტუდენტები პასუხობენ კითხვებს უშუალოდ ცოდნიდან გამოყვანილი მრავალი არგუმენტის მეშვეობით. მრავალი სიმპტომი გვაძლევს საშუალებას ვიპოვოთ თემის პრობლემატიკა. თემის არჩევით, მის ავტორს სურს სტუდენტები მიიყვანოს სხვადასხვა ასპექტის დამუშავებამდე. მაშასადამე, პრობლემატიკა არის კავშირი, რომელიც საშუალებას იძლევა დამუშავდეს ეს ასპექტები ლოგიკურ ერთობ-